

PRESS RELEASE

FOR IMMEDIATE RELEASE

14 December , 2016

Contact Person:

Zurab Katchkatchishvili

Office:+995 32 298 81 76

Mobile: +995 577 98 98 82

Email: zurab.k@icc.ge

UN General Assembly grants Observer Status to International Chamber of Commerce in historic decision

ICC Georgia is delighted to inform you that the International Chamber of Commerce (ICC) has been officially granted Observer Status by the United Nations' General Assembly.

The decision was taken today by the 193 members of the UN General Assembly during its on-going 71st session in New York.

This is an historic achievement for ICC and one which provides a unique platform for the world business organisation to represent our members in the world's greatest international forum. ICC is the only private-sector organisation to have been granted Observer Status at the General Assembly in the history of the United Nations. The list of UN observers is highly restricted and features principally intergovernmental organisations.

ICC's new status could not have come at a more important time: not only does the United Nations 2030 Agenda place an unprecedented focus on the private sector to drive sustainable development; but we must also do more to counter growing populist and protectionist forces within the global economy. Obtaining Observer Status will—for the first time—provide a direct voice for business in the UN system to promote policies that foster sustainable & inclusive growth, job creation and economic cooperation.

Commenting on today's decision, ICC Chairman Sunil Bharti Mittal said: "This is huge recognition of the role that business can play in contributing to a better and peaceful world. Granting Observer Status to ICC sends a powerful signal that the UN recognizes business as a vital partner. We stand ready to ensure that the private sector plays a full role in meeting the ambition of the 2030 agenda."

The resolution to grant observer status to ICC was submitted by France-ICC's host country-and was supported by 22 other Member States. ICC already works with a wide array of UN specialised agencies and organisations around the world providing business input and expertise on issues from commercial standards through to climate change. ICC was designated as the official business representative in the processes that lead to the creation of the UN's 2030 Agenda for Sustainable Development-a key factor in the General Assembly's decision.

ICC Secretary General John Danilovich said: "It's a great honour for ICC to be granted Observer Status at the UN General Assembly. ICC has a long tradition of close cooperation with the United Nations and today's decision reflects our sustained efforts to strengthen the relationship between the UN and the private sector."

"The status of UN observer is a testimony to ICC's unparalleled standing internationally and will bring the world business agenda to the highest International instances" said Fady Asly, Chairman of ICC-Georgia.

ICC Georgia is the largest and most vocal global Business Association in the country; it includes over 350 corporate and youth members and 28 business associations. The International Chamber of Commerce is the largest business organization in the world that includes over 6.5 million businesses and chambers of commerce. ICC consults regularly at the global level with the G8, G20, the World Bank, WTO, WCO and the UN.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სავაჭრო პალატას დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში მოხარულია გაცნობოთ, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატას გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა.

გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი 193 წევრმა დაუჭირა, მიღებულ იქნა 2016 წლის 13 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 71-ე სესიაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ისტორიული მიღწევაა საერთაშორისო სავაჭრო პალატისთვის, რადგანის აძლევს მას უნიკალურ პლატფორმას წარმოადგენდეს პალატის წევრებს მსოფლიოში ყველაზე დიდ საერთაშორისო ფორუმზე. ICC არის ერთადერთი კერძო სექტორის ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით, რომელსაც გაერომ დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა. გაეროს დამკვირვებელთა სია უაღრესად შეზღუდულია და მასში, ძირითადად, სამთავრობათშორისო ორგანიზაციები არიან წარმოდგენილები.

გადაწყვეტილება ICC-ისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე ძალიან მნიშვნელოვან დროს იქნა მიღებული. გაეროს 2030 სამოქმედო გეგმის თანახმად, უპრეცედენტო ყურადღება არის გამახვილებული კერძო სექტორზე, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას; მაგრამ ჩვენ უნდა გავაკეთოთ უფრო მეტი, რათა დაძლეულ იქნას მხარდი პოპულისტური და პროტექციონისტული ძალები გლობალურ

ეკონომიკაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატის დამკვირვებლის სტატუსი გაეროში, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ბიზნესის პირდაპირ ხმას გაეროს სისტემაში იმ პოლიტიკის გასაქდრებლად, რომელიც მოემსახურება ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებას რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ თანამშრომლობას.

ზემო ხსენებული გადაწყვეტილების თაობაზე, ICC-ის თავმჯდომარემ სუნილ ბჰარტი მიტალმა განაცხადა: "ეს არის იმ დიდი როლის აღიარება, რაც გულისხმობს, რომ ბიზნესს ხელეწიფება უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანოს უკეთესი და მშვიდობიანი სამყაროს შექმნაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებით, გაერო აგზავნის ძლიერი სიგნალს, რომ ის აღიარებს ბიზნესს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორს. ჩვენ მზად ვართ, უზრუნველყოთ, რომ კერძო სექტორი ითამაშებს მნიშვნელოვან როლს გაეროს 2030 სამოქმედო გეგმის განხორციელებაში."

რეზოლუცია ICC-ისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე წარადგინა საფრანგეთმა- საერთაშორისო სავაჭრო პალატის მასპინძელმა ქვეყანამ, რომელსაც მხარი 22სხვა წევრს ახელმწიფომ დაუჭირა. ICC უკვე მუშაობს გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოებთან და ორგანიზაციებთან მსოფლიოს მასშტაბით, რათა უზრუნველყოს ბიზნესის ჩართულობა და წვლილისეთ საკითხებზე, როგორცაა ვაჭრობის სტანდარტები თუ კლიმატური ცვლილებები. ICC აგრეთვე ჩართული იყო გაეროს 2030 სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, როგორც ბიზნესის ოფიციალური წარმომადგენელი, რამაც განაპირობა სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების კომპონენტის ჩასმა.

ICC-ს გენერალურმა მდივანმა ჯონ დანილოვიჩმა განაცხადა: „ საერთაშორისო სავაჭრო პალატისთვის ძალიან დიდი პატივია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამკვირვებლის სტატუსის მინიჭება. ICC-ს ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს გაეროსთან და ეს გადაწყვეტილებაც გახლავთ სათანადო აღიარება იმ ძალისხმევისა, რაც ჩვენ გავწიეთ გაეროსა და კერძოსექტორს შორის ურთიერთობების განსამტკიცებლად.

გაეროს დამკვირვებლის სტატუსი გახლავთ აღიარება ICC-ს უპრეცედენტო საერთაშორისო მნიშვნელობისა და ის ბიზნესის დღის წესრიგს უმაღლეს საერთაშორისო ინსტანციებში შეიტანს. განაცხადა ფადი ასლიმ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი ბიზნეს ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც აერთიანებს 6.5 მილიონ ბიზნეს ორგანიზაციასა და 12,000 სავაჭრო პალატას. საერთაშორისო სავაჭრო პალატა რეგულარულად კონსულტაციებს გადის გლობალურ დონეზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: G8, G20, მსოფლიო ბანკი, WTO, WCO და UN. საქართველოში, საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი და ყველაზე გავლენიანი ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 350-ზე მეტ კორპორატიულ წევრს, ახალგაზრდული პროექტის სტუდენტებს, 28 ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციას.